საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

I ნაწილი - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

II ნაწილი - ბიზნესის ადმინისტრირების კვლევის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

I ნაწილი - 60 კრედიტი

II ნაწილი - 60 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მიზანი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პრობლემური ორგანიზაციების გამართვასა და კერძო, საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას და ორგანიზაციების ღირებულების ზრდას.

აღნიშნულის მისაღწევად, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ძირითად მიმართულებებში: მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები ;
- კროს-დისციპლინარული მიდგომით პრობლემების გადაწყვეტისა და მტკიცებულებებზე დამყარებული მიგნებების საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული გამოწვევების მართვის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტისას შედეგებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბების, სტრატეგიისა და გეგმის განსაზღვრის, განხორციელებისა და არგუმენტირებული დასკვნის უნარი;
- მულტიდისციპლინურ გარემოში პროფესიული ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვით გუნდური და დამოუკიდებლი მუშაობისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ზრდისკენ მუდმივი სწრაფვის უნარი;

სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სფეროს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განუვითაროს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის, რელევანტური დასკვნების შემუშავებისა და მათი საზოგადოებისთვის ეფექტურად წარგდენის უნარები;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო **პროგრამის I ნაწილზე სწავლის უფლება აქვს** იმ პირებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და სურთ სწავლა გააგრძელონ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- შიდა პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- პროგრამის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე):

o ინგლისური ენის გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;

- ზეპირი გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის დარგობრივი ცოდნა:

o საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) წინასწარ განთავსდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ გვერდებზე.

სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224/ ნ ბრძანებით გათვალისწინებული შემდეგი პირებისთვის:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილის დასრულება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-4მუხლის, 1^1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს:

მეწარმე-მენეჯერი – რომელიც აანალიზებს ბიზნესის წინაშე მდგარ შესაძლებლობებს, გამოწვევებსა და რისკებს,. განსაზღვრავს ხედვას, სტრატეგიულ ბიზნეს გეგმებსა და რისკების მართვის სისტემას, რომლებიც მოიცავენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ეფექტიან და ეფექტურ კროს-ფუნქციურ გადაწვეტილებებს და აფასებს ამ გადაწყვეტილებების ეფექტს ორგანიზაციის სტრესული სიტუაციიდან გამოყვანაზე, მისი შედეგების გაუმჯობესებასა და ღირებულების ზრდაზე.

ფინანსისტი - შეიმუშავებს ფინანსურ და საინვესტიციო გეგმებს, განსაზღვრავს ბიუჯეტირების მოდელებსა და პროცედურებს, აფასებს ბიზნესისა და აქტივების ღირებულებას, განსაზღვრავს კაპიტალის მოზიდვისა და მართვის სტრატეგიებს.

ოპერაციების მენეჯერი – აანალიზებს ბიზნეს პროცესებისა და ოპერაციების ხარვეზებს, საზღვრავს მათი აღმოფხვრის სტრატეგიებს, შეიმუშავებს ბიზნეს პროცესებისა და ოპერაციების გაუმჯობესების გეგმებს.

მარკეტერი - შეიმუშავებს შედეგებზე ორიენტირებულ მარკეტინგულ ინიციატივებსა და გეგმებს; განსაზღვრავს ბაზარზე წვდომის, კონკურენტული ბრძოლის, შეთავაზებებისა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიებს.

პროექტის მენეჯერი – რომელიც უცნობ და მულტი დისციპლინურ გარემოში როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად, რისკების გათვალისწინებით, შეიმუშავებს პროექტებისა და ინიციატივების მიზნებსა და ნიშნულებს, განსაზღვრავს მათი მიღწევისთვის ქმედებების თანმიმდევრობასა და რესურსების გეგმას.

მკვლევარი – გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრავს კვლევის საჭიროებას, ამოცანასა და სტრატეგიას,

სტრატეგიის შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს კვლევის დიზაინს, აორგანიზებს და წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელ კვლევას, რომლის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და არგუმენტირებულად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.

ჰომო მორალის - ეთიკური, ზნეობრივი პიროვნება, რომელიც აცნობიერებს ადამიანებისა და ბიზნესის ურთიერთკავშირს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას და მოქმედებს ეთიკური ღირებულებების დაცვით.

პროგრამის I ნაწილის სწავლის შედეგები:

პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ:

სწავლის შედეგი 1 - სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი მიმართულებების თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოს - ორგანიზაციული მეწარმეობის, მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების, ოპერაციების, ფინანსების, მარკეტინგისა და პროექტების მართვის პრინციპებს, თეორიებს, მიდგომებსა და მოდელებს;

სწავლის შედეგი 2 - კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ბიზნესის სტრატეგიების, ლიდერობის, ორგანიზაციის ოპერაციებისა და რესურსების მართვის საკვანძო საკითხებზე;

სწავლის შედეგი 3 - გარემოზე დაკვირვებით აანალიზებს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს, ტენდენციებს, არჩევს მართვის ეფექტურ მოდელს, შეიმუშავებს ორგანიზაციის ხედვას, სტრუქტურას და ორგანიზაციული კულტურის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას განვითარების სტრატეგიაზე;

სწავლის შედეგი 4 - უცნობ და მულტი დისციპლინურ გარემოში როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად შეიმუშავებს პროექტებისა და ინიციატივების მიზნებსა და ნიშნულებს, განსაზღვრავს მათი მიღწევისთვის ქმედებების თანმიმდევრობასა და რესურსების გეგმას.

სწავლის შედეგი 5 - ახდენს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, აანალიზებს კომპანიის წინაშე არსებულ ძირითად რისკებს, შეიმუშავებს ბიზნეს გეგმას, რისკების მართვის სისტემას და ორიგინალური გზებით (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით) იღებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწვეტილებებს და აფასებს ამ გადაწყვეტილებების გავლენას ორგანიზაციის შედეგებსა და ღირებულების ზრდაზე.

სწავლის შედეგი 6 - რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს.

პროგრამის II ნაწილის სწავლის შედეგები:

მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ:

სწავლის შედეგი 7 - დამოუკიდებლად მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და წარდგენის გზით, იფართოებს ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით და დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროებებს.

სწავლის შედეგი 8 - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტების დაცვით, დამოუკიდებლად აორგანიზებს და წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელ კვლევას, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და არგუმენტირებულად ასაბუთებს გადაწყვეტილებებს.

სწავლის შედეგი 9 - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ეფექტურად წარადგენს ზეპირი და წერილობითი ფორმით კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და

დასკვნებს როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.

სწავლის შედეგი 10 - თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს ეთიკისა და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას და მოქმედებს ეთიკური ღირებულებების დაცვით.

შედეგებისა და მიზნების რუკა

სწავლის შედეგები მიზნები	სწავლის შედეგები									
	ნაწილი I						ნაწილის II			
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9	სწავლის შედეგი 10
I ნაწილის მიზნები:										
ღრმა და სისტემური ცოდნა: ბიზნესის ძირითად მიმართულებებში: მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები										
კროს-დისციპლინარული მიდგომით პრობლემების გადაწყვეტისა და მტკიცებულებებზე დამყარებული მიგნებების საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული გამოწვევების მართვის უნარი;										
კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტისას შედეგებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბების, სტრატეგიისა და გეგმის განსაზღვრის, განხორციელებისა და არგუმენტირებული დასკვნის უნარი;										
მულტიდისციპლინურ გარემოში პროფესიული ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვით გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ზრდისკენ მუდმივი სწრაფვის უნარი;										
II ნაწილის მიზანი:										
სფეროს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განუვითაროს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის, რელევანტური დასკვნების შემუშავებისა და მათი საზოგადოებისთვის ეფექტურად წარდგენის უნარები;										

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ვერბალური მეთოდი (Verbal Method)
☒ დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method)
☒ პრეზენტაცია (Presentation)
☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა
☒ პრაქტიკული მუშაობა
☒ სწავლება კეთებით (Learning by Doing)
☒ შემთხვევის შესწავლა (Case Study)
☒ სიმულაციური სწავლება (Simulation Study)
☒ პროექტზე დაფუძნებული სწავლება; (Project Based Study)
☒ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (Problem Based Study)
☒ ელექტრონული სწავლება
☒ სხვა

კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა,

საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიმულაციები და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების

გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

დასაქმების სფერო:

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით იმუშაონ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით

(პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ნიკოლოზ აბუაშვილი
პროფესორი
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: +995 577 728 228
იმეილი: n.abuashvili@gipa.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:

გიორგი თურქია
პროფესორი
ტელ: (995 32) 249 75 00
მობ: +995 599 931 177
იმეილი: g.turkia@gipa.ge

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა:

ნაწილი I:

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	I წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი I	სემესტრი II		
სასწავლო კომპონენტი							
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები							
მოდული I - ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები							
1	BABEMA 206	არ გააჩნია	ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მარკეტინგი	4		30	70
2	BABEMNG 206	არ გააჩნია	ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მენეჯმენტი	4		30	70
3	BABEFI 206	არ გააჩნია	ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: ფინანსები	5		39	86
მოდული II - მარკეტინგის მოდული							
4	PR001	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	4		30	70
5	RES001	არ გააჩნია	მომხმარებლის ქცევის ტენდენციები და ბაზრის კვლევა	4		30	70
6	BAMA 204	არ გააჩნია	სტრატეგიული ბრენდინგი		4	30	70
მოდული III - ოპერაციების მოდული							
7	BAPRM 206	არ გააჩნია	პროექტების მართვა	3		30	45
8	BAOPM 208	BABEMNG 206	ოპერაციათა მართვა		6	45	105
მოდული IV - ფინანსური მოდული							
9	BAMAFACF 206	BABEFI 206	მაკროფინანსები - კორპორაციული ფინანების მართვა		5	39	86

10	BAMIFA 206	BABEFI 206	მიკროფინანსები - ფინანსურ-მმართველობითი აღრიცხვა		5	39	86
11	BAAFM204	BABEFI 206	ფინანსები მოქმედებაში		4	30	70
<u>**კვლევითი კომპონენტები**</u>							
12	BAFPM 2031	BABEFI 206; BABEMA 206; BABEMNG 206;	I შემაჯამებელი პროექტი	**4**		6	94
13	BAFPM 2032	BAPRM 206; BAOPM 208	II შემაჯამებელი პროექტი		**4**	6	94
14	BAFPM 2033	BAPRM 206; BAOPM 208;	III შემაჯამებელი პროექტი		**4**	6	94
სემესტრულად:				**28**	**32**		
I ნაწილი სულ:				**60**			

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა:

ნაწილი II:

№	საგნის კოდი	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	II წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				III	IV		
სასწავლო კომპონენტი							
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები							
			მოდული 5 - ლიდერობა				
1	BASLL205	I ნაწილის დასრულება	ბიზნეს ლიდერობა - ლაბორატორია	5		39	86
2	BASAE 205	I ნაწილის დასრულება	სახელმწიფო და ეკონომიკა	5		30	95
3	RES002	I ნაწილის დასრულება	კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი		4	30	70
4	BASL 208	I ნაწილის დასრულება	სტრატეგიული ლიდერობა		6	45	105
ძირითადი სწავლის სფეროს სპეციალობის არჩევითი საგნები				**15**			
5	BAMAFAAR 206	I ნაწილის დასრულება	მაკროფინანსები - ანალიზი და რისკები	5		30	95
6	BAMIS 204	I ნაწილის დასრულება	მართვის ინფორმაციული სისტემები	5		27	98
7	BAAGM 204	I ნაწილის დასრულება	გლობალურ ბაზრებზე წვდომა	5		27	98
8	BAES 204	I ნაწილის დასრულება	ეტიკეტი და სომელიე	5		27	98
9	PR003	I ნაწილის დასრულება	სტრატეგიული კომუნიკაცია	4		36	64

10	PR005	I ნაწილის დასრულება	კრიზისული კომუნიკაცია	4		30	70
11	PR006	I ნაწილის დასრულება	კორპორაციული კომუნიკაციები და სოციალური პასუხისმგებლობა	3		30	45
		კვლევითი კომპონენტები					
12		II ნაწილით გათვალისიწინებული არანაკლებ 35 კრედიტი	სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი		25		
			სემესტრულად	**25**	**35**		
			II ნაწილი სულ	**60**			
			I და II ნაწილი სულ	**120**			

კურიკულუმის რუკა

კურიკულუმის რუკაში პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული სავალდებულო საგანი და კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში, თუ რომელი საგნის შესწავლა იწვევს რომელ შედეგზე გასვლას, შესაბამისი დონის აღნიშვნით.

სასწავლო/კვლევითი კომპონენტი ჩაშლილია სამ დონედ:

ა) გაცნობაზე ორიენტირებული კურსები (I-Introduction)

ბ) გაღრმავებაზე ორიენტირებული კურსები (D -Development)

გ) განმტკიცებაზე ორიენტირებული კურსები (M – Mastering).

დ) პრაქტიკული კომპონენტი (P – Practice)

კომპონენტისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი დონის აღმნიშვნელი ინდიკატორი – I, D ან M.

პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული კომპონენტი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. თუ რომელიმე საგნის შესწავლა იწვევს რომელიმე შედეგზე გასვლას, საგნისა და შედეგის თანაკვეთის უჯრაში მითითებულია ერთ-ერთი შედეგობრივი ინდიკატორი – I, D, M. ასევე, P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს გაცნობის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცების (PM) დონეზე.

სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგები**									
სავალდებულო სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტები	**სწავლის შედეგი 1**	**სწავლის შედეგი 2**	**სწავლის შედეგი 3**	**სწავლის შედეგი 4**	**სწავლის შედეგი 5**	**სწავლის შედეგი 6**	**სწავლის შედეგი 7**	**სწავლის შედეგი 8**	**სწავლის შედეგი 9**	**სწავლის შედეგი 10**
I ნაწილის სავალდებულო სასწავლო /კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების რუკა										
ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მარკეტინგი	I	I	I		I		IP			
ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: ფინანსები	I	I			I		IP			
საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	I	I			I		IP			
ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მენეჯმენტი	I	I	I		I		IP			
მომხმარებლის ქცევის ტენდენციები და ბაზრის კვლევა	DP			I		IP	IP	IP	IP	I
მაკროფინანსები - კორპორაციული ფინანების მართვა		DP		IP	DP					
მიკროფინანსები - ფინანსურ-მმართველობითი აღრიცხვა		DP			DP				DP	
ფინანსები მოქმედებაში					DP	DP				
პროექტების მართვა	DP		DP	DP	DP				DP	
ოპერაციათა მართვა	DP	DP	DP	DP	DP					
სტრატეგიული ბრენდინგი		DP	DP	DP	DP			DP	DP	
I შემაჯამებელი პროექტი	DP						IP	IP	IP	IP
II შემაჯამებელი პროექტი	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP
III შემაჯამებელი პროექტი	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP
II ნაწილის სავალდებულო სასწავლო /კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების რუკა										
კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი		DP	DP		DP	DP	DP	DP	DP	DP
სტრატეგიული ლიდერობა		DP	DP	DP	DP	DP			DP	DP
სახელმწიფო და ეკონომიკა			DP		DP					
ბიზნეს ლიდერობა - ლაბორატორია	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP	DP

სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი	**MP**	**MP**	**MP**	**MP**	**MP**	**MP**	**MP**	**MP**	**MP**	**MP**

დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე

(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ნიკოლოზ აბუაშვილი			
თანამდებობა	პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 577 728 228	ელ-ფოსტა:	n.abuashvili@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დოქტორი, ეკონომიკა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; სამეცნიერო კვლევის სფეროები: ბიზნეს პროცესები, ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი;			
პუბლიკაციები	აბუაშვილი ნ. საბაკალავრო პროგრამების არჩევანზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორები, ჯიპა, 2020, 2021 აბუაშვილი ნ. მეწარმე მოქალაქეების განვითარება, ჯიპასა და Maastricht School of Management-ის ორგანიზებული კონფერენცია მეწარმეობასა და განათლებაში, თბილისი, 2017 ნ. აბუაშვილი, თვალი თვალის წილ - რა მიაჩნია ბაზრებს მნიშვნელოვნად ბიზნესების შეფასებისას, Eurasian Journal of Economics and Finance , 2017 2017 - კეუნვონ სონგი, ნ. ფარცხალაძე, ნ. აბუაშვილი, დ. ახვლედიანი - ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა და კლასტერული შესაძლებლობები განვითარებად ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი, თავი წიგნისა: საქართველოს პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის საჭირბოროტო საკითხები, Westphalia Press, George Mason University, 2017 ნ. აბუაშვილი, თვალი თვალის წილ - რა მიაჩნია ბაზრებს მნიშვნელოვნად ბიზნესების შეფასებისას, Eurasian Journal of Economics and Finance , 2017			

	2016 - ნ. აბუაშვილი, დ. ახვლედიანი, ნ. ფარცხალაძე - რეგიონთაშორისი და მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობისა და კლასტერული განვითარების შესაძლებლობები. პოლიტიკის დოკუმენტები #2 2016, pp. 49-70. 1999 - ა. ედიბერიძე, ნ. აბუაშვილი, მ. ნიკოლაშვილი – კვლევითი ორგანიზაციებისათვის მენეჯმენტის სწავლება დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებით, TET99, გიოვიკი(ნორვეგია), 1999 1998 - ა. ედიბერიძე, ნ. აბუაშვილი, მ. ნიკოლაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქსელის განვითარების კონცეფცია, EUNIS98, პრაღა, 1998 ნ. აბუაშვილი – საით მიდის ინფორმაციული ტექნოლოგიები დღეს? ღია საზოგადოება, თბილისი, 1998 1997 - ნ. აბუაშვილი – ვემსგავსებით თუ გვემსგავსებიან? ნ. ჭავჭავაძის სახელობის ქართული საერთაშორისო ცენტრი „თავისუფალი საზოგადოება“, თბილისი, 1997 1996 - ნ. აბუაშვილი – გიფიქრიათ მოტივაციაზე? თსუ, თბილისი, 1996

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე

(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	გიორგი თურქია			
თანამდებობა	პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+995 599 931 177	ელ-ფოსტა:	g.turkia@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	ეკონომიკის ინსტიტუტის დოქტორანტურა; ეკონომიკის დოქტორი სამეცნიერო კვლევის სფეროები: ბიზნეს პროცესები, ეკონომიკა, ფინანსები;			
პუბლიკაციები	2024 - V. Tsertsvadze, L. Khurtsia, N.Bakradze, G.Turkia. European Best Practices in Dual Higher Education (DHE). Journal of Politics and Democratization. January 23, 2024 vol 5 issue 6 2024 - V. Tsertsvadze, L. Khurtsia, N.Bakradze, G.Turkia. Report on Survey of companies needs for Dual Higher Education in Georgia. Journal of Politics and Democratization. January 23, 2024 vol 5 issue 6 2011 - ბიზნესის სახელმძღვანელო, „ბიზნესის საფუძვლები“, თანაავტორი; 2009 - ბიზნესის სახელმძღვანელო, ,,ბიზნესი“, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ელექტრონული ვერსია, თანაავტორი; 2006 - დღემდე, სოციალური და ეკნონიკური გეოგრაფიის ეროვნული საგამოცდო ტესტების თანაავტორი; 2005 - ბიზნესის სახელმძღვანელო, ,,ბიზნესი“, ESM-თბილისის სტუდენტებისთვის, თანაავტორი; 2002 - ბიზნესის სახელმძღვანელო, ,,ბიზნესი“, ESM-თბილისის სტუდენტებისთვის, თანაავტორი; 1999 - ბიზნესის სახელმძღვანელო, ,,ბიზნესი“, ESM-თბილისის სტუდენტებისთვის, თანაავტორი; პუბლიკაციები:			

	2018 - თურქია გიორგი, ცერცვაძე ვანო, თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის გავლენა სარესტორნო ბიზნესზე ; 2015 - თურქია გიორგი, კახა კირთაძე, მოგების მაჩვენებელი ხარისხის პირობებში Business Georgia : ბიზნეს-საგანმანათლებლო ჟურნალი / საგამომცემლი კომპანია "Teritoref". თბილისი,. გვ. 54-55. 2346–7843. 2014 - თურქია გიორგი, დიპლომიანი სასიძო, ანუ როცა ინსტიტუტში ადგილების რაოდენობა აჭარბებს ინსტიტუტში სწავლის მსურველთა რაოდენობას; საჯარო მმართველობა საქართველოში - თანამედროვე ქეისები; გვ. 66-83; 2008 - თურქია გიორგი, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში; საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი, #2 (123), 2008 წ. გვ. 102; თურქია გიორგი, ტრანსნაციონალური კორპორაციების საინვესტრიციო საქმიანობის მოტივაცია და შედეგი; ეკონომიკა; ჟურნალი;

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

სახელი და გვარი	**სტატუსი**	**სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი**
გიორგი თურქია	პროფესორი	• ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: ფინანსები • ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მენეჯმენტი • სამაგისტრო ნაშრომი • პროექტების მართვა
ნიკოლოზ აბუაშვილი	პროფესორი	• ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მარკეტინგი • ფინანსები მოქმედებაში • სტრატეგიული ლიდერობა • ოპერაციათა მართვა • ბიზნეს ლიდერობა - ლაბორატორია • მაკროფინანსები - ანალიზი და რისკები

		• სამაგისტრო ნაშრომი
ელდარ პირმისაშვილი	მოწვეული ლექტორი	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა;
ვახტანგ ბერიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: ფინანსები
მამუკა მახათაძე	ასოცირებული პროფესორი	• ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მენეჯმენტი • სამაგისტრო ნაშრომი
ნინო ბერუაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მენეჯმენტი
იური დოლიძე	მოწვეული ლექტორი	• მაკროფინანსები - ანალიზი და რისკები
ამირან თევზაძე	მოწვეული ლექტორი	• მიკროფინანსები - ფინანსურ-მმართველობითი აღრიცხვა • სამაგისტრო ნაშრომი
შალვა ახრახაძე	ასოცირებული პროფესორი	• მაკროფინანსები - კორპორაციული ფინანების მართვა • სამაგისტრო ნაშრომი
მალხაზ ნიკოლაშვილი	პროფესორი	• მართვის ინფორმაციული სისტემები
ვანო ცერცვაძე	პროფესორი	• მართვის ინფორმაციული სისტემები
ეკატერინე კოპლატაძე	მოწვეული ლექტორი	• ოპერაციათა მართვა
ლევან ნებიერიძე	პროფესორი	• გლობალურ ბაზრებზე წვდომა • სამაგისტრო ნაშრომი
ზაზა აკობია	ასოცირებული პროფესორი	• ბიზნესი და მისი შემადგენელი ელემენტები: მარკეტინგი
შოთა ჩინჩალაძე	მოწვეული ლექტორი	• სტრატეგიული ბრენდინგი
რევაზ ვაჩნაძე	მოწვეული ლექტორი	• სტრატეგიული ლიდერობა • სამაგისტრო ნაშრომი
დალილა ცატავა	ასოცირებული პროფესორი	• ეტიკეტი და სომელიე
ქეთევან ჯურხაძე	მოწვეული ლექტორი	• ეტიკეტი და სომელიე

მერაბ კაკულია	პროფესორი	• სახელმწიფო და ეკონომიკა
გიორგი ხატიძე	ასოცირებული პროფესორი	• სახელმწიფო და ეკონომიკა
ანნა ქეშელაშვილი	პროფესორი	• მომხმარებლის ქცევის ტენდენციები და ბაზრის კვლევა;
მახარე აჭაიძე	ასისტენტი	• კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი
სალომე ბენიძე	ასისტენტ-პროფესორი	• კრიზისული კომუნიკაცია
მარიამ სეხნიაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	• კრიზისული კომუნიკაცია • ბიზნეს ლიდერობა - ლაბორატორია
თინათინ სტამბოლიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• სტრატეგიული კომუნიკაცია
თამარ როდონაია	ასისტენტი	• კორპორაციული კომუნიკაციები და სოციალური პასუხისმგებლობა